ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 285

"19" ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №18, კორპუსი №2-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.002.250) პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ილურიძისთვის (პ/ნ. 01024009833) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №18, კორპუსი №2-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.002.250) პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ილურიძისთვის (პ/ნ 01024009833) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის №25.818.921 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №18, კორპუსი №2-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.002.250) პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ილურიძისთვის (პ/ნ. 01024009833) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე